საქართველოში კორონავირუსის (2019 Novel Coronavirus) მართვის საკოორდინაციო კომისია

სხდომის ოქმი N8

ჩატარების ადგილი: ელექტრონული მიმოწერის საშუალებით

თარიღი: 2020 წლის 23 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ:

ეკატერინე ტიკარაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომში-მინისტრი), კომისიის თავმჯდომარე;

თამარ გაბუნია - მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი ჭავჭავაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ეკა ადამია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ბექა ჯაყელი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

თინათინ ხარძიანი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

მაია ნიკოლეიშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ნინო მამალაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/ საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

საქართველოში კორონავირუსის (2019 Novel Coronavirus) მართვის საკოორდინაციო კომისია

თამარ მელიქიძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

ამირან გამყრელიძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, კომისიის წევრი.

ზაალ კაპანაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორი, კომისიის წევრი.

განსახილველი საკითხები:

1. სახელმწიფოს მიერ შესყიდული ტესტ-სისტემების ადმინისტრირების საკითხი
2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შემდგომი ადმინისტრირების საკითხი

კომისიის მიერ პირველ საკითხად განხილულ იქნა ცენტრალიზებულად შესყიდული ტესტ-სისტემების ადმინისტრირების საკითხი.
„ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელი კომპონენტების ფარგლებში ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვისთვის საჭირო საშუალებების/მომსახურების შესყიდვას „ახალი კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 24 იანვრის №01-18/ო ბრძანებით შექმნილი საკოორდინაციო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსის გავრცელების დღიდან დღემდე ადმინისტრაციის მიერ შესყიდულია 133 020 სწრაფი ტესტი, მათ შორის, 79 020 ანტისხეულებისა და 54 000 ანტიგენების განსაზღვრისათვის.

ამავე პერიოდში ადმინისტრაცია ახორციელებდა აღნიშნული ტესტების განაწილებას და გადაცემას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებზე, მათი მომართვის და/ან პოლიტიკის დეპარტამენტის მითითების საფუძველზე.

დღევანდელი მდგომარეობით სამინისტროს ბალანსზე დარჩენილია 19 745 ტესტი ანტისხეულებისა და 9 180 ტესტი ანტიგენების განსაზღვრისათვის.

აღსანიშნავია, რომ კორონავირუსის გავრცელების დღიდან დღემდე დიაგნოსტიკური ტესტირების პრინციპები რამდენიმეჯერ შეიცვალა. უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება პჯრ ტესტირებას, საქართველოს მთავრობის N975 განკარგულებით განისაზღვრა სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ ჯგუფთა ჩამონათვალი, რომელთა დიაგნოსტიკა განხორციელდება ,,ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის" სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის კომპონენტის ფარგლებში. რაც შეეხება, სწრაფი ტესტების გამოყენებას, უპირატესობა ენიჭება ანტიგენ/ანტისხეულებზე ტესტირებას. იმ ჯგუფების ჩამონათვალი, რომელიც დაექვემდებარება სწრაფ ტესტირებას, დამატებით განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

დიაგნოსტიკის კომპონენტის განმახორციელებლად და ზოგადად, ტესტირების საკითხებთან დაკავშირებით პასუხისმგებელ ორგანოდ განსაზღვრულია სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ცენტრალიზებულად შესყიდული ტესტების განაწილება/გაცემა დაევალოს დაავადებათა კონტროლის ცენტრს.

მეორე საკითხად განხილულ იქნა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) საკითხი. აღნიშნული საშუალებები ახალი კორონავირუსის გავრცელების დღიდან ცენტრალიზებულად შეისყიდება სახელმწიფოს მიერ და საკოორდინაციო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ადმინისტრაციის მიერ გადაეცემა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებს, მათი მომართვის და/ან პოლიტიკის დეპარტამენტის მითითების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის პოლიტიკის სამმართველოს მიერ, ნსდს-სთან კოორდინაციით, მომზადებული და დამტკიცებულია (COVID-19)-ის შესაძლო და დადასტურებული შემთხვევების მართვისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) გამოყენებისა და სხვა უსაფრთხოების ღონისძიებების რეკომენდაციები, სამედიცინო დაწესებულებებს ,,ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაევალათ სამინისტროს მიერ გადაცემული პირადი დაცვის საშუალებების ხარჯვის აღრიცხვა, თუმცა უკუკავშირი ამ ნაწილში სრულყოფილად ვერ ხორციელდება.

ახალი კორონავირუსის გავრცელების პირველ დღეებში, როდესაც მსოფლიო ბაზარზე შეიქმნა გლობალური დეფიციტი იდს-ების მხრივ, სახელმწიფოს მიერ მათი ცენტრალიზებულად შესყიდვა და კლინიკების მომარაგება წარმოადგენდა ერთ-ერთ პრიორიტეტს. დღევანდელი მდგომარეობით, იდს-ებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაზრდილია და ამდენად, შესაძლებელია განხილულ იქნას საკითხი იდს-ების კლინიკების მიერ შესყიდვის თაობაზე.

ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ფინანსური რისკები, რაც შეიძლება დადგეს კლინიკების მხრიდან შესრულებების წარმოდგენისას. ამ მიზნით, სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტის ეფექტური ხარჯვისთვის, მიზანშეწონილია შემუშავდეს საშუალო განფასება/იდს-ების სტანდარტული ღირებულება, რაც ანაზღაურდება სახელმწიფოს მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ იდს-ების გადაცემა ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება ასევე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებზე, მათი მომართვისა და დამტკიცებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ვინაიდან ისინი ახორციელებენ (COVID-19)-ის დიაგნოსტიკისათვის საჭირო ცხვირ-ხახის ნაცხის აღებას სხვადასხვა ლოკაციებზე. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ცენტრები დიაგნოსიტიკის ნაწილში ანგარიშგებას ახორციელებენ დაავადებათა კონტროლის ცენტრთან, ადმინისტრირების გამარტივების მიზნით, მიზანშეწონილია მათზე იდს-ების განაწილება/გადაცემა დაევალოს ასევე, დაავადებათა კონტროლის ცენტრს.

კომისიაზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

- ცენტრალიზებულად შესყიდული ტესტები სამინისტროს მხრიდან გადაეცეს და მათი შესაბამის დაწესებულებებზე განაწილება/გაცემა დაევალოს დაავადებათა კონტროლის ცენტრს (ამირან გამყრელიძე)
- შემუშავდეს იდს-ების სტანდარტული ღირებულება (გიორგი წოწკოლაური, გიორგი ჭავჭავაძე, ბექა ჯაყელი)
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებზე იდს-ების განაწილება/გადაცემა დაევალოს დაავადებათა კონტროლის ცენტრს (ამირან გამყრელიძე)

კომისიის თავმჯდომარე:

ეკატერინე ტიკარაძე

კომისიის მდივანი:

გვანცა გასვიანი